ADVANCING SECURITY AS A PROFESSION!

CAUCASUS ACADEMY
OF SECURITY EXPERTS

რეკომენდაციები
კორუფციასთან ბრძოლის სფეროში

WWW.GLOBALCASE.ORG

რეკომენდაციები კორუფციასთან ბრძოლის სფეროში

კორუფცია ნებისმიერი სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ჩვენს რეგიონში და უშუალოდ საქართველოში!

ბოლო ასწლეულში ჩვენს რეგიონში და უშუალოდ საქართველოში უცხო სახელმწიფოების ხელშეწყობით ან ინსპირირებით არაერთხელ განხორციელდა კონსტიტუციური წყობილების რღვევის ორგანიზაცია, რომლის მომწიფებაშიც კორუფციამ მნიშვნელოვანი ფუნდამენტი შექმნა. უნდა აღინიშნოს, რომ კორუფციული პროცესების ინსპირირებისათვის უცხო ქვეყნების სადაზვერვო შეღწევადობის ობიექტები, კორუფციულ გარიგებებში ჩართული სახელმწიფო მოხელეები არიან და განსაკუთრებით კი მაღალი თანამდებობის პირები. მათთან მიმართებაში ეს კომპრომენტაციის საშუალებაა, რომელიც შემდგომ კონტროლის მიზნით გამოიყენება. ამას გარდა, კორუფციული პროცესების თუნდაც უმნიშვნელო გამოვლენისას საზოგადოებაში ჩნდება მკვეთრი ნეგატიური განწყობა, რაც თავისმხრივ მასობრივი უკმაყოფილების დესტრუქციული გზით გამოხატვის, საპროტესტო აქციების, არეულობებისა და კონსტიტუციური წეს-წყობილების რღვევის აქსელერატორი შეიძლება გახდეს. ამგვარი გარემო კი ხელსაყრელ პირობებს ქმნის სადაზვერვო აქციების განხორციელებით დაინტერესებულ უცხო ქვეყნის სპეცასმსახურებს.

ამდენად, კორუფციული დანაშაულებები მოიცავს უფრო მასშტაბურ საფრთხეებს, ვიდრე ცალკეული სამოხელეო არაკეთილსინდისიერი ქმედება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ამ საქმიანობაში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება უნდა იყოს, რათა სწორედ იქნეს გაგებული კორუფციული დანაშაულებების რეალური საფრთხეები. ამ პროცესში არსებითად მნიშვნელოვანია მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი მთავარი წყარო.

დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით კორუფცია არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც ცალკეული სამოხელეო დანაშაული, არამედ მისი შესწავლა უშუალოდ ეროვნული უსაფრთხოების (მათ შორის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის თვალსაზრისით) უზრუნველყოფის ფარგლებში უნდა განხორციელდეს.

აღნიშნული მოსაზრების აქტუალობას ადასტურებს ის გარემოება, რომ კორუფციასთან ბრძოლა ჩვენს რეგიონში და მითუმეტეს მისი ეროვნული უსაფრთხოების დონეზე აყვანა არასოდეს ყოფილა მარტივი. დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით გადასახედია არსებული სისტემა, რადგან ეს სფერო საკმაოდ დინამიურია და ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე უნდა ვიყოთ ადეკვატური.

ანტიკორუფციულ ქმედებებში ბიუროკრატიის აღმოფხვრა ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა, და მისი მოგვარება ძირითადად ტექნოლოგიური საშუალებების იმპლემენტაციით ხორციელდება. ელექტრონული მმართველობა, ტექნოლოგიური სერვისები, რომლებიც ცვლიან ჩვენს ყოველდღიურობას, ამცირებენ ბარიერებს სხვადასხვა საქმიანობაში და სხვა. ეს ყოველივე ნამდვილად კარგია ბიუროკრატიის დასამარცხებლად, თუმცა ჩნდება ახალი სფერო, რომელიც ჩვენს სახელმწიფოში ბოლომდე ჯერ კიდევ არ გვაქვს ათვისებული. მაშინ როდესაც ე.წ. ფეიფერ ვორქიდან, ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე გადავდივართ

ტრადიციული კონტროლის მექანიზმები არაეფექტურია და საჭიროა ახალი მეთოდები პროცესების ელექტრონულ სივრცეში კონტროლისათვის. დღეის მდგომარეობით ამის პოტენციალი გააჩნია საქართველოს იუსტისიის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს. ერთ-ერთი დივიზია სწორედ ამ სააგენტოში უნდა არსებობდეს, რომელიც შეიმუშავებს ახალ მეთოდებს და გააკონტროლებს საჯარო დაწესებულებების ელექტრონული პროცესების კორექტულობას, ეფექტურობას, სანდოობასა და ხელმისაწვდომობას. შეადგენს შესაბამის ანგარიშებს და მუდმივად ითანამშრომლებს საფინანსო და საგამოძიებო უწყებებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სისტემის ამოქმედებით სხვადასხვა ბენეფიტთან ერთად შესაძლებელი ხდება კონტრსადაზვერვო პრევენციაც.

ზოგადად ანტიკორუფციული საქმიანობა შეიძლება დავიყვანოთ ორ მიმართულებამდე: პრევენციული და პროაქციული ზომები. პრევენციულში პირველ რიგში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საჯარო მოხელეებზე მუშაობა უნდა ვიგულისხმოთ, რომლებსაც კარგად უნდა განემარტოთ სპეციალური საკვალიფიკაციო კურსების საშუალებით თუ რა რისკებთანაა დაკავშირებული კონკრეტული მოქმედებები. რეაქციული კუთხით კი უნდა არსებობდეს არამხოლოდ თანამედროვეობის ადეკვატური საკანონმდებლო უზრუნველყოფა, არამედ საერთო პოლიტიკა, ასევე საორგანიზაციო პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც თავისმხრივ უნდა მოიცავდეს სტანდარტულ საოპერაციო პროცედურებს ინცინდენტების გამოვლენისა და მათზე რეაგირების შესახებ. რეაგირების კუთხით პოლიტიკასთან ერთად არსებითად მნიშვნელოვანია ამავე დოკუმენტებში გათვალისწინებული პროცედურების სრულაფოვნად განხორციელების პოტენციალი.

ბოლო პერიოდში არაერთმა ნაკლებად გახმაურებულმა საქმესთან შეხებამ დღის წესრიგში დააყენა ძალზედ სპეციფიკური კორუფციული მოდელების ანალიზი. ამგვარი მოდელები სრულად უნდა იყოს შესწავლილი და ჩამოყალიბდეს ერთგვარი კლასიფიკატორები სამართალდამცავი უწყებებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ინფორმაციული ტექნოლოგიების აქტიურ დანერგვასთან ერთად სახელმწიფო აუდიტორული უწყებები ახალი გამოწვევის წინაშე დგანან. აუდიტი როგორც ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი ანტიკორუფციულ საქმიანობაში სულ უფრო რთული ხდება. რთულდება ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მათი აქტივების შეფასება. ხშირად ჩვენს ქვეყანაში ადგილი აქვს სახელმწიფო კონტრაქტებზე არაჯანსაღ პირობებსა და ფასებს, რაც კოლოსალურ ზიანს აყენებს ქვეყნის ბიუჯეტსა და ინფრასტრუქტურას, ხოლო სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო თვალსაზრისით სახელმწიფოს იმიჯს.

ინფორმაციული პროექტების სწორი შეფასება, როგორიცაა მაგალითად ელექტრონული სერვისების შექმნა/დანერგვა, ახალი ტექნოლოგიების შესყიდვა, ინფრასტრუქტურის მომზადება და ა.შ. და სხვადასხვა ასპექტები უნდა კონტროლდებოდეს სპეციალური უწყების მიერ, რომელიც ახლიდან უნდა ჩამოყალიბდეს. მასში უნდა მონაწილეობდნენ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოცდილი პროფესიონალები და სტანდარტიზაციისა და პოლიტიკის სპეციალისტები, რომლებიც განსაზღვრავენ კონკრეულ კლასიფიკატორებსა და საერთო მოთხოვნებს ამგვარი პროექტებისათვის. ისინი შეისწავლიან კონკრეტულ საქმეებს და მუდმივ რეჟიმში წარმოადგენენ რეკომენდაციებს.

ანტიკორუფციულ საქმიანობაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონოპოლიის აღმოფხვრაა. საქართველოში კი ამ კუთხით ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი, განსაკუთრებით სახელმწიფოს მიერ უშუალო ხელშეწყობით ორგანიზებული მონოპოლიის პრევენციის კუთხით, რომელიც შემდგომში როგორც წესი სხვა კორუფციული პროცესებით გრძელდება. აღნიშნული მიმართულება მოიაზრებს ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური ინიციატივების დაყენებას, რომლებიც უპასუხებენ დღევანდელ რეალობას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოთ მოცემული ყველა რეკომენდაცია მეტწილად დაკავშირებულია ტექნოლოგიურ პროცესებთან, ანტიმონოპოლიური კუთხითაც პირველ რიგში სწორედ ამ სფეროში არსებულ პრობლემებს წარმოგიდგენთ. მოგეხსენებათ, რომ გლობალური ტენდენციის გამო ტექნოლოგიური ინოვაციების ათვისება სახელმწიფოთა განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. ამ პროცესში კი თანაბრად მნიშვნელოვანია, როგორც ადგილობრივი ბიზნესის განვითარება, ისე გარე ინვესტორებთან მუშაობა ინოვაციების იმპორტისა და ბაზრის განვითარების კუთხით. ორივე პროცესს კი ყოველთვის უშლიდა ხელს არაჯანსაღი საბაზრო კონკურენცია და მონოპოლია ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარზე. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ბოლო პერიოდში საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ-ების) საქმიანობის ფორმა ამ სფეროში ხშირად იწვევს ბიზნეს სექტორის დემოტივაციას. როდესაც საბიუჯეტო ორგანიზაციების შემსრულებლად გვევლინება სსიპ ორგანიზაცია, რომელმაც თუნდაც კონკურსის წესით უნდა წარმოადგინოს პირობები სხვადასხვა პროექტებზე, ისინი უკვე სარგებლობენ არაპირდაპირი პრივილეგიებით. კერძოდ, ამგვარ სუბიექტებს გააჩნიათ ადმინისტრაციული რესურსები, რომლებიც მაქსიმალურად ამცირებენ ან სულაც ნულამდე დაყავთ სამუშაო ხარჯები, მაშინ როდესაც კერძო კომპანიებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პროდუქტის შესაქმნელად უამრავი ხარჯის გაღება უხდებათ, დაწყებული თანამშრომელთა ხელფასებით, დასრულებული ოფისის არენდითა და სხვადასხვა ტექნიკური ხარჯებით. შესაბამისად, ეს ყოველივე უშუალოდ აისახება ფასწარმოქმნაზე და კერძო კომპანიები ვეღარ უწევენ კონკურენციას სსიპ ორგანიზაციას ფასით. ეს უკანასკნელი კი დღევანდელ რეალობაში მოგეხსენებათ მთავარი კრიტერიუმი გახდა სახელმწიფო ტენდერებსა და კონკურსებზე პირობების განხილვისას.

იმ რეალობიდან გამომდინარე, რომელშიც ბოლო ათწლეულებია ვიმყოფებოდით ანტიკორუფციულ საქმიანობაში ერთ-ერთი მთავარი მიმართულება საკადრო რესურსებთან დაკავშირებული მანიპულაციების შესწავლა უნდა იყოს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა პრობლემის მთავარი წყარო ხშირად სწორედ საკადრო პოლიტიკა გახლდათ. დისაბალანსი კვალიფიკაციასა და თანამდებობრივ სტატუსს შორის, არამიზნობრივი მივლინებები და სამსახურეობრივი სარგო, ე.წ. გავლენის აგენტურის გავრცელება და ა.შ. გახლავთ ის მწვავე პრობლემური საკითხები, რომლებიც მუდმივად ამრუდებნენ ქვეყნის ხერხემალს. ამდენად, ანტიკორუციული მიმართულების ერთ-ერთ პრიორიტეტული სფერო სწორედ საკადრო პოლიტიკა და ადამიანური რესურსები უნდა გახდეს. ამ კუთხით კი მრავალი რამ არის გადასახედი.

დღეს საქართველოს აქვს ამის პოტენციალი და რაც მთავარია არსებობს ადეკვატური პოლიტიკური ნება, რომელიც ახალმა რეალობამ განაპირობა. ამ ყოველივეს საქართველოს კიდევ ერთ შანსს ვუწოდებდი.

ამგვარი ამოცანების რეალიზებისთვის საუკეთესო გადაწყვეტა ალბათ შესაბამის უწყებაში ანტიკორუფციული მიმართულების შეტანა იქნება. განსაკუთრებით კი სპეცსამსახურებში. კერძოდ, კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და ყველა რელევანტურ უწყებას უნდა დაევალოს ანტიკორუფციული საქმიანობა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. ამგვარი ჩანასახების გაერთიანებით კი მოხდება ფასეული ანალიტიკური ინფორმაციის კონსოლიდაცია, რაც დღევანდელ რეალობაში ეფექტური ანტიკორუფციული საქმიანობის გარანტი იქნება.

ზემოთ აღნიშნული საკითხები საკმაოდ მტკივნეულ რეფორმებთან არის დაკავშირებული, რომლებიც პირველ ეტაპზე სხვადასხვა უხერხულობებს შექმნის სისტემის სრულ დანერგვამდე. თუმცა დღეს ისე როგორც არასდროს საქართველოს აქვს შანსი აჩვენოს საკუთარი თავი ამ კუთხით და დაუმტკიცოს საერთაშორისო საზოგადოებას და პირველ რიგში საკუთარ მოქალაქეებს, რომ ჩვენ შეგვიძლია ადაპტაცია ახალ რეალობაში და სტაბილური გარემოს უზრუნველყოფა. ეს უკანასკნელი არასოდეს ყოფილა მუდმივი ჩვენს რეგიონში, სტაბილურობასთან დაკავშირებული რისკები პირდაპირ კავშირშია იმ ბენეფიტების არ არსებობასთან, რომლებსაც საზოგადოება ასე ითხოვს. დაწყებული მაღალი საბანკო საკრედიტო განაკვეთებით, რომლებიც სწორედ არასტაბილური იმიჯის გამო ვერ იქნება რეალიზებული საერთაშორისო საბანკო რეიტინგების სისტემის გათვალისწინებით და დამთავრებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინვესტიციებით, რომლეთა განხორციელებასაც ყოველთვის უშლიდა ხელს კორუფციისა და სტაბილურობის ფაქტორი.

ლაშა პატარაია

უსაფრთხოების ექსპერტთა
კავკასიის აკადემიის დირექტორი

■ უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია

ADVANCING SECURITY AS A PROFESSION

http://www.globalcase.org

უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია (CASE) არის ერთადერთი კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც ფოკუსირებულია ისეთ სენსიტიურ საკითხებზე, როგორიც დაზვერვა, კიბერ უსაფრთხოება და ანტი ტერორიზმია. ასეთ პირობებში, როცა შპიონაჟი და უსაფრთხოების სხვა გამოწვევები ტექნოლოგიურ ხასიათს იძენს, ჩნდება ახალი საფრთხეები. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაციის დაცვა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა არამხოლოდ სახელმწიფო, არამედ კერძო სექტორშიც. ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენი საზოგადოების წინაშე დგას, აკადემიის გარშემო შეიკრიბა გამოცდილ პროფესიონალთა ძლიერი გუნდი, უსაფრთხოების სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლები, სამხედრო ექსპერტები და სხვა სფეროს წარმომადგენლები კერძო და სახელმწიფო სექტორიდან. დღეს, ისე როგორც არასდროს, ჩვენ შეგვიძლია დავნერგოთ ინსტიტუციონალური მექანიზმები უსაფრთხოების მიმართულებით, გავზარდოთ საზოგადოების ცნობადობა, ვებრძოლოთ კიბერ შპიონაჟს, კიბერ ტერორიზმს და სხვა მნიშვნელოვან საფრთხეებს. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ უფრო უსაფრთხო და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას. ამ მეტად ამბიციური მიზნების განსახორციელებლად ჩვენ გვაქვს მოვლენების განსაკუთრებული ხედვა, გაგვაჩნია ძლიერი გუნდი და მოტივაცია. აკადემიის საქმიანობა ითვალისწინებს მჭიდრო თანამშრომლობას როგორც სახელმწიფო და კერძო სექტორთან, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. იმისათვის, რომ დავნერგოთ სფეროს ახალი სტანდარტები, მოვამზადოთ კვალიფიციური ადამიანური რესურსი და ხელი შევუწყოთ უსაფრთხო გარემოს ფორმირებას, უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია ახორციელებს გასვლით ლექციებს, ატარებს რეგიონალურ და საერთაშორისო კონფერენციებს, ნერგავს ინოვაციურ საგანმანათლებლო პროგრამებს და ეხმარება სფეროს სპეციალისტებს გამოცდილების გაცვლაში, ერთმანეთთან დაკავშირებაში. აკადემია აერთიანებს სადაზვერვო, ანტი-ტერორისტულ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და დიპლომატიურ საკითხებს, რათა შეავსოს გამოტოვებული ადგილები გლობალური უსაფრთხოების გარემოში და ხელი შეუწყოს უსაფრთხოების, როგორც პროფესიის განვითარებას

■ აკადემიის საქმიანობის შესახებ:

უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია (CASE) ძირითად საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობასთან ერთად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს საზოგადოებრივი ცნობადობის ასამაღლებლად და უსაფრთხოების, როგორც პროფესიის განვითარებისთვის. ჩვენ გვჯერა, რომ გლობალური უსაფრთხოების გარემოს აქტუალური პრობლემების საუკეთესო გადაწყვეტა სწორედ კვალიფიცურ საკადრო რესურსში და ინფორმირებულ საზოგადოებაშია. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუდმივი კვლევითი და ანალიტიკური სამუშაოები, ტარდება ღია ლექციები და სემინარები, ეწყობა კონფერენციები აქტუალურ თემებზე და რაც მთავარია ამას გააჩნია მუდმივი ხასიათი. აკადემიის დაფუძნებაც სწორედ თანამედროვე საფრთხეებმა და გამოწვევება განაპირობა. ჩვენი აქტივობები მოიცავს

- უნიკალური საგანმანათლებლო პროგრამები სპეციალური დისციპლინებით დაზვერვის, ანტი ტერორიზმისა და კიბერ უსაფრთხოების მიმართულებებით.
- ეფექტური გარემოს შექმნა კვლევითი საქმიანობისთვის უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტზე: უსაფრთხოების, ტექნოლოგიების, დიპლომატიური, სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხების ირგვლივ.
- მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალების მოძიება უსაფრთხოების სხვადასხვა კომპეტენციით, მათ შორის დაზვერვის, ტექნოლოგიების, სამხედრო, სამართლებრივი და ასევე დიპლომატიური სფეროდან, რათა ჩამოვაყალიბოთ უნიკალური პროფესიული ქსელი.
- საზოგადოებასა და საჯარო სექტორში უსაფრთხოების საკითხებზე ცნობადობის ამაღლება. ამ მიზნით პუბლიკაციებისა და მულტიმედია მასალის მომზადება, ასევე ღია ლექციებისა და საჯარო ღონისძიებების ორგანიზება.
- ახალი ინიციატივებისა და პროფესიული სტანდარტების დანერგვაში მხარდაჭერის გაწევა მედიისათვის, საჯარო და სამოქალაქო სექტორისათვის.
- ღონისძიებები და კონფერენციები - აკადემიის ღონისძიებების მიზანია დააკავშიროს სფეროს სპეციალისტები, გამოცდილების ურთიერთგაზიარება და ახალი გადაწყვეტილებების მოძებნა გლობალური უსაფრთხოების გარემოს თანამედროვე პრობლემების გადასაწყვეტად.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ აკადემიის ვებ-გვერდს: http://www.globalcase.org